ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7558118

ნომერი: AR11099166

თარიღი : 08.07.2025

გაცემის თარიღი : 17.07.2025

გაცნობის თარიღი : 17.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროსადგურ "სარაჯიშვილის" მიმდებარედ, (ნაკვ.1/10) ; ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ , "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე დათებაშვილი პ/ნ 01020007487
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 24ბ, ბინა 49

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის №7540280 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 08

ივლისს №AR11099166 განცხადებით მომართა თორნიკე დათებაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის №7540280 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის №7540280 ბრძანებით შეთანხმდა №01.12.02.001.079 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის (სავაჭრო, საოფისე და საცხოვრებელი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 3 ივლისიდან 2025 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის №7540280 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად 6911.66 კვ.მ-ის ნაცვლად 6854.21 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 1954.12 კვ.მ-ის ნაცვლად 1761.80 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 1674.17 კვ.მ-ის ნაცვლად 1570.97 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1179.92 კვ.მ-ის ნაცვლად 1230.25 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3298.39 კვ.მ-ის ნაცვლად 3236.34 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 390.88 კვ.მ-ის ნაცვლად 394.85 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 2228.93 კვ.მ-ის ნაცვლად 2200.56 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 17638.07 კვ.მ-ის ნაცვლად 17289.08 კვ.მ-ის დაფიქსირებას. განმცხადებელს, ასევე, სურს სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის №7540280 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს სასაწყობე ფართობი 40.10 კვ.მ.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის №7540280 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის №7540280 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 17289.08 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 6854.21 კვ.მ., საოფისე ფართობად 1761.80 კვ.მ., კომერციულ ფართობად 1570.97 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 1230.25 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 3236.34 კვ.მ., დამხმარე ფართობად 394.85 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 2200.56 კვ.მ. ასევე, სამსახურის სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის №7540280 ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს სასაწყობე ფართობი 40.10 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის №7540280 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის №7540280 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 03 ივლისის №7540280 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.